საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 559 2024 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

შპს „აიემსიზე“ გაცემულ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიაში ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^1 მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს მიეცეს თანხმობა, შპს „აიემსიზე“ (ს/ნ: 226568121) გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფელ ყარათაღლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის მოპოვების მიზნით გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10002136 ლიცენზიაში შეიტანოს ცვლილება და სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებელი ოდენობა ლიცენზიის მოქმედების ვადის ბოლომდე (2026 წლის 4 ივლისამდე) განსაზღვროს 134 085 $მ^3$-ის ოდენობით.

2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის გაზრდილ ოდენობაზე (107388.68 კუბური მეტრი) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადოს 134 856 (ას ოცდათოთხმეტი ათას რვაას ორმოცდათექვსმეტი) ლარი, ლიცენზიის გამცემის მიერ განსაზღვრულ ვადაში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**